საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე – კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.03.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 025/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 24 მარტს საჩივრით მომართა მ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წელს მასსა და ადვოკატ რ. მ.-ს შორის გაფორმდა შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე, ზეპირი ფორმით. ადვოკატს უნდა შეესწავლა მ. გ.-ს საქმე, სადაც ჰქონდა დაზარალებულის - გარდაცვლილი მეუღლის უფლებამონაცვლის სტატუსი და დაეცვა მისი უფლებები სისხლის სამართლის საქმეში. ამ მიზნით ადვოკატს უნდა განეხორციელებინა მ. გ.-ს წარმომადგენლობა სამართალდამცავ ორგანოებში, საქართველოს პროკურატურასა და სასამართლოში.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე N--- საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში ადვოკატმა მას არ განუმარტა შესაბამისი

საკანონმდებლო აქტები. საპროცესო შეთანხმების ფარგლებში მან, ნოტარიუსის თანდასწრებით, ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ის თანხმობას აცხადებდა ბრალდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე, თუმცა მან არ იცოდა რას ნიშნავდა პირობითი მსჯავრი, ამასთან დაკავშირებით ადვოკატს დაუსვა კითხვა, რომელზეც ადვოკატის პასუხი იყო ბუნდოვანი.

1.4 მომჩივანის ინფორმაციით, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საჩივრის ავტორმა თანხმობა განაცხადა ბრალდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე, რის სანაცვლოდაც, ზიანის ანაზღაურების სახით, მან ბრალდებულისგან მიიღო 10 000 აშშ დოლარი. რის შემდეგაც გორის რაიონულმა სასამართლომ საქმე N--- მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა პირობითი მსჯავრი და მოხდა მისი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლება.

1.5 საჩივრის ავტორმა საჩივარში მიუთითა, რომ მისთვის მისაღები არ იყო ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლება, ადვოკატმა ის მოატყუა, ადვოკატს მისთვის რომ მიეწოდებინა ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ რას გულისხმობა პირობითი მსჯავრი, ის არ დათანხმდებოდა ბრალდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებას. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ საჩივრის ავტორმა აცნობა ბრალდებულს, რომ სურდა მისგან მიღებული თანხის დაბრუნება, რადგან არ ეთანხმებოდა სასამართლოს განაჩენს.

1.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 1000 ლარი, თუმცა ადვოკატს არ განუხორციელებია არანაირი ქმედება და არ გამოუმუშავებია მიღებული ჰონორარი. საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატს და მოითხოვა გადახდილი თანხისა და მის საქმეზე არსებული დოკუმენტების დაბრუნება, თუმცა ადვოკატს თანხა არ დაუბრუნებია, ხოლო დოკუმენტებთან დაკავშირებით კლიენტს განუმარტა, რომ ის არანაირ დოკუმენტს არ ფლობდა. ამის შემდეგ საჩივრის ავტორი ცდილობდა ადვოკატთან დაკავშირებას, თუმცა ადვოკატი რამდენიმე დღის განმავლობაში სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა, 7 მარტს ადვოკატმა კლიენტს უთხრა, რომ თავად დაურეკავდა, თუმცა არ დაურეკავს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა რ. მ.-მ 2022 წლის 04 აპრილის ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ მასსა და მ. გ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ზეპირი შეთანხმება შედგა 2021 წლის 9 სექტემბერს. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით მას გამოძიების პროცესში, აგრეთვე საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა ბრალდებულის წარმომადგენელთან. ზეპირი ახსნა-განმარტების პროცესში ადვოკატმა აღნიშნა, რომ შეთანხმების მიხედვით მას არ ევალებოდა სასამართლო პროცესებზე დასწრება და აქედან გამომდინარე, ის არ ესწრებოდა სასამართლო პროცესებს.

2.2 ადვოკატის პოზიციით, ის კლიენტთან, მ. გ.-სთან ერთად, იმყოფებოდა გორის საპატრულო პოლიციაში და ესწრებოდა საგამოძიებო მოქმედებებს. ამავე დღეს მოხდა მისი კლიენტის გამოკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და მოწმის გამოკითხვა. ადვოკატი ყველა აღნიშნულ მოქმედებას ესწრებოდა და მონაწილეობას იღებდა. ადვოკატი განმარტავს, რომ საქმესთან დაკავშირებით კომუნიკაცია ჰქონდა

პროკურორთან. ხოლო სასამართლო პროცესების გადადება განპიროებებული იყო მხარეთა შორის მოლაპარაკების პროცესით.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ ის ბრალდებულის წარმომადგენელთან აწარმოებდა მოლაპარაკებას საპროცესო შეთანხმების თაობაზე. რომლის საბოლოო შედეგიც იყო მისი კლიენტისთვის, ბრალდებულის მხრიდან, ზიანის ანაზღაურების სახით 10500 აშშ დოლარის გადახდა და ამის სანაცვლოდ, მისი კლიენტის სანოტარო წესით დამოწმებული წერილობითი თანხმობა ბრალდებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათის, მათ შორის პირობითი მსჯავრის გამოყენების შესახებ. მ. გ. შვილთან ერთად, სანოტარო ბიუროში, გაეცნო განცხადებას. ასევე, კლიენტმა კონკრეტულად იკითხა, თუ რამდენად იყო შესაძლებელი ბრალდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება გამხდარიყო მისი გათავისუფლების საფუძველი, რაზეც ნოტარიუსმა მიუთითა, რომ არსებობდა ამის შესაძლებლობა. ეს განიცადა მ. გ.-მ, იტირა, თუმცა დოკუმენტს ხელი მოაწერა. თანხის გადაცემაც იმავე დღეს განხორციელდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს აცნობა, რომ ბრალდებული თავს დამნაშავედ ცნობდა სსსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, აგრეთვე დაზარალდებულს ინფორმაციას აწვდიდა ბრალდების მხარესთან მოლაპარაკების პროცესის და შედეგების შესახებ. ადვოკატმა უარყო საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ ადვოკატი მის ზარებს არ პასუხობდა და საქმის მასალები არ ჰქონდა. ადვოკატის განმარტებით, მისთვის საჭირო დოკუმენტების ასლები, რომლებიც მან თავად მოიპოვა, მის ხელთ იყო და ის აღნიშნულ დოკუმენტებს კლიენტს გადასცემდა. ხოლო კლიენტის მხრიდან ერთადერთი სატელეფონო ზარი განხორციელდა 2021 წლის 7 მარტს, რომელსაც ადვოკატმა პირადი მიზეზით ვერ უპასუხა და განუმარტა, რომ მოგვიანებით დაკავშირებოდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს განუმარტა, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით მინიმალურ სასჯელს ბრალდებულს მაინც მიუსჯიდნენ, იმისდა მიუხედავად შედგებოდა თუ არა მხარეებს შორის შეთანხმება. ადვოკატის აღნიშნული ვარაუდი გამომდინარეობდა იქედან, რომ ბრალდებული ადრე არ იყო ნასამართლევი, მტკიცებულებს უდავოდ ხდიდა და ბრალს სრულად აღიარებდა. საპროცესო შეთანხმება არ შედგა, რის შესახებაც ადვოკატმა ასევე აცნობა კლიენტს.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტთან ერთად ინფორმაციას აწვდიდა მის სრულწლოვან შვილებსაც, რომლებიც დედასთან ერთად იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი რ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 მ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 24 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021-2022 წლებში. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა(მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ დაიცვა მისი ინტერესები სათანადოდ და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობისა და საპროცესო მოქმედებების შესახებ.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.2.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2.).

5.2.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

5.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კომისიის პრაქტიკის მიხედვით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად. აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისას ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა. ადვოკატმა კლიენტთან უნდა შეათანხმოს ამ უკანასკნელის საქმეზე განსახორციელებელი მოქმედებები, რაც გულისხმობს კლიენტისგან ინფორმაციის მიღებას, მისი პოზიციის, მოთხოვნის გაგებას და შემდეგ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის პროფესიული რჩევის მიცემას, მომავალში განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე. კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულება ადვოკატისგან ასევე მოითხოვს საქმის მასალებისა და თითოეული გარემოების დაწვრილებით გაცნობას, რადგან აღნიშნულს შეიძლება

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს კლიენტის ინტერესისთვის. ადვოკატმა კლიენტთან უნდა შეათანხმოს დაცვის სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმებისას მის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტექნიკების არსებითი სამართლებრივი შეფასება, რაც საადვოკატო საქმიანობის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპის ნაწილია.

5.4 „ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება არ უნდა დაემსგავსოს ფორმალურ წარმომადგენლობას, ვინაიდან კლიენტი იმის გამო სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რომ მას აქვს ის სპეციალური ცოდნა და უნარები, რაც კლიენტს არ გააჩნია“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N096/14).

5.5 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/10).

5.6 მოცემულ შემთხვევაში საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ გარდაცვლილი დაზარალებულის უფლებამონაცვლის, მ. გ.-ის ადვოკატი რ. მ., მ. გ.-სგან მიღებული დავალების ფარგლებში, კლიენტთან ერთად ესწრებოდა საგამოძიებო მოქმედებებს, მონაწილეობდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში და მოწმის გამოკითხვაში, აგრეთვე, კლიენტთან შეთანხმების საფუძველზე, ბრალდებულის წარმომადგენლებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. ის არ ესწრებოდა სასამართლო პროცესებს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი რ. მ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა დაზარალებულის უფლებამონაცვლეს, ხოლო დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატის სასამართლო სხდომებზე დასწრება ყველა შემთხვევაში სავალდებულო არ არის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ფონზე, დაზარალებული განიხილება როგორც ბრალდების მოწმე და, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მისი გამოძახება სასამართლო პროცესზე დამოკიდებულია პროკურორის გადაწყვეტილებაზე. დაზარალებულის პროცესუალური როლი, ძირითადად, მოწმის ფუნქციით შემოიფარგლება. თუმცა, მოწმისგან განსხვავებით, დაზარალებულს მიენიჭა ინფორმაციის მიღების უფლება საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატი რ. მ. ახორციელებდა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საადვოკატო საქმიანობას, მხარეთა ახსნა განმარტებებიდან და საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე დგინდება, რომ მის მიერ განხორციელებული მოქმედებები შეთანხმებული იყო კლიენტთან და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა კანონთან.

5.7 საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ბრალდებული წარმომადგენლთან მოლაპარაკების პროცესში ადვოკატ რ. მ.-ს ჰქონდა კომუნიკაცია კლიენტთან (ასევე მის სრულწლოვან შვილებთან), ის მას აწვდიდა ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობის შესახებ და მისგან იღებდა მითითებებს. მოლაპარაკება არ მომხდარა სპონტანურად, მხარეთა ახსნა-განმარტებიდან დგინდება, რომ მოლაპარაკების პროცესი გარკვეულ სირთულეებს

უკავშირდებოდა და შესაბამის დროს მოითხოვდა, აღნიშნული დროის განმავლობაში ადვოკატი კლიენტს აწვდიდა ინფორმაციას. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებიდან დგინდება, რომ მოლაპარაკების პროცესში ადვოკატი მას აწვდიდა ინფორმაციას ბრალდებულის წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ შეთავაზებებთან დაკავშირებით.

5.8 აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში მ. გ.-მ დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებდა ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ, ბრალდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე თანხმობას, ხელი მოაწერა ნოტარიუსის თანდასწრებით. ,,ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 49-ემუხლის თანახმად, ნოტარიუსს აქვს ვალდებულება სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს პირს, რომელიც ითხოვს სანოტარო მოქმედების შესრულებას. ამასთანავე, ნოტარიუსი ვალდებულია იზრუნოს იმაზე, რომ არ შეილახოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც არ იცნობენ საქართველოს კანონმდებლობას და საჭიროებენ სამართლებრივ კონსულტაციას. ასევე, საჩივრის ავტორის განმარტების თანახმად, მან ნოტარიუსის თანდასწრებით იკითხა, თუ რას ნიშნავდა პირობითი მსჯავრი და რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება დამდგარიყო მისი გამოყენების შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამიმდინარე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ საჩივრის ავტორს, გარდა ადვოკატისა, ნოტარიუსმაც მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც აღნიშნულ ვარაუდს გააქარწყლებდა. საქმეზე დადგა განაჩენი, რომლის შესაბამისად, ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ, თუმცა სასჯელის სახით განესაზღვრა 6 წლით პირობითი მსჯავრი (2022 წლის 17 თებერვლის განაჩენი, საქმე N---). კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ რ. მ.-ს კვალიფიციურობისა და კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ეთიკური ვალდებულება არ დაურღვევია.

5.9 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა ადვოკატ რ. მ.-ის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო ალბათობის მაღალი ხარისხით ბრალდებულს მაინც მიუსჯიდა მინიმალურ სასჯელს. კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული განცხადება არ წარმოადგენს აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწლის მიხედვით გათვალისწინებულ ქმედებას - კლიენტისთვის საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტიის მიცემას. აღნიშნული წარმოადგენდა ადვოკატის - როგორც პროფესიონალის ვარაუდს. კოლეგია ასკვნის, რომ არ დგინდება ადვოკატ რ. მ.-ის მიერ აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა.

5.10 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომელიც უკავშირდება ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების შეუსრულებლობას და იმსჯელა შემდეგი ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი".

5.11 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #037/14).

5.12 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17).

5.13 მხარეთა პოზიციებით დგინდება, რომ ადვოკატმა რ. მ.-მ კლიენტისაგან, მ. გ.-სგან საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით მიიღო 1000 ლარი. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ჰონორარი გამოიმუშავა.

5.14 ადვოკატმა, რ. მ.-მ საადვოკატო მომსახურების ფარგლებში შეასრულა მოქმედებები. კერძოდ, ის კლიენტთან ერთად, იმყოფებოდა გორის საპატრულო პოლიციაში და ესწრებოდა საგამოძიებო მოქმედებებს. ამავე დღეს მოხდა მისი კლიენტის გამოკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და მოწმის გამოკითხვა, აღნიშნულ მოქმედებებში ადვოკატი მონაწილეობას იღებდა (2021 წლის 21 სექტემბრის ოქმი დაზარალებული/მოწმის გამოკითხვის შესახებ). ადვოკატი აწარმოებდა ბრალდებულის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას. საქმზე დადგა საბოლოო შედეგი (2022 წლის 17 თებერვლის განაჩენი, საქმე N(----),რითაც ადვოკატმა დაასრულა კლიენტის მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტისთვის სასურველი შედეგი არ დადგა, ადვოკატ რ. მ.-ს კლიენტისათვის გაწეული აქვს მიღებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სანაცვლო მომსახურება. შესაბამისად, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადვოკატ რ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის საფუძველზე.

5.15 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.3, 8.5, 8,6 და 8.15; ასევე ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ა და 6.2 მუხლების დარღვევა, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ რ. მ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.16 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

IIIსარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N025/22 ადვოკატ რ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/

კოლეგიისწევრი: /მარინე ცუცქირიძე/